

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის მიერ 2005 წელს ინიცირებული კანონპროექტების მოკლე მიმოხილვა

თამთა ჭუმბურიძე*

1. შესავალი

1996 წელს საქართველოსა და ევროპულ გაერთიანებებს შორის დაიდო „შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“ (შემდგომში: შეთანხმება), იგი ძალაში 1999 წლის 1 ივლისს შევიდა. შეთანხმებაში საქართველოსათვის შესასრულებლად სავალდებულო რეკომენდაციებია მოცემული, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას ისახავს მიზნად. ამ მიზნითა და შეთანხმების 43-ე მუხლიდან გამომდინარე, მომზადდა „საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამა“ (შემდგომში: ეროვნული პროგრამა). იგი მოიცავს საქართველოს კანონმდებლობისა და ევროპული კავშირის იმ დირექტივების ანალიზს, რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია. პროგრამის შესრულების მიზნით შემუშავდა „საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების 2004-2006 წლების სამოქმედო გეგმა“ (შემდგომში: სამოქმედო გეგმა).

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა შეთანხმებით გათვალისწინებულ სფეროებში კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით, „ჯეპლაკის“ ექსპერტებთან მჭიდრო თანამშრომლობით, მოახდინა ქვემოთ განხილული კანონპროექტების ინიცირება.

2. მომხმარებელთა უფლებების დაცვა

მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფერო შეთანხმების ერთ-ერთი უმთავრესი სექტორია, რომლის დამუშავების დრო სამოქმედო გეგმაში განერილი და შესასრულებლად პრიორიტეტულია.

ამ სფეროსთან არის დაკავშირებული სარეკლამო ბაზრის განვითარება. დღესდღეობით, ქარბი მომსახურებისა და პროდუქციის არსებობის პირობებში, ურთიერთშედარების გარეშე, სარეკლამო ბიზნესის არსებობა თითქმის შეუძლებელი ხდება. შედარებითი რეკლამა საკანონმდებლო დონეზე არა მარტო ევროპული კავშირის სივრცეში, არამედ უკვე სხვა ქვეყნებშიც დარეგულირებულია. თუმცა საზოგადოებას ინფორმაცია ისეთნაირად უნდა მიეწოდოს, რომ კონკურენტის დისკრედიტირება არ მოხდეს, რეკლამა არ უნდა იყოს არასათანადო, აგრესიული და მომხმარებელი შეცდომაში არ იქნეს შეყვანილი. ამასთან დაკავშირებით, კომიტეტმა წამოაყენა ინიციატივა „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეტანის შესახებ. წარმოდგენილი კანონპროექტით ქვეყანაში შედარებითი რეკლამა იქნება დაშვებული, რაც საქართველოს საერთაშორისო სტანდარტებთან

* საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის აპარატის უფროსი სპეციალისტი.

დაახლოებს. დღესდღეობით ჩვენთან თითქმის ყოველ რეკლამაში შედარებაა გამოყენებული, ხოლო საკანონმდებლო დონეზე ის დაშვებული და დარეგულირებული არ არის. კანონპროექტის მიხედვით დადგინდება ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება შედარებითი რეკლამა და დაცული იქნება კონკურენტის ბიზნეს-ინტერესები. კანონპროექტიდან გამომდინარეობს, რომ შედარებითი რეკლამა გასაგები და სამართლიან ინფორმაციაზე აგებული უნდა იყოს, პირდაპირ ან ირიბად წარმოაჩენდეს ისეთ შედარებებს, რომლებიც ბაზარზე კონკურენტებს შორის უხერხულობას არ გამოიწვევს, იქნება არგუმენტირებული (დოკუმენტურად დადასტურებადი) და, რაც მთავარია, არ შეიყვანს შეცდომაში მომხმარებელს.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში, ტურისტული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა წამოაყენა სამოქალაქო კოდექსში ცვლილებისა და დამატებების შეტანის ინიციატივა. ტურიზმის სექტორი ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რომელიც მის ეკონომიკურ წინსვლასთან არის დაკავშირებული. ტურიზმის განვითარება ერთიანი სტანდარტების შემუშავებასა და საქართველოს კანონმდებლობის სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობებთან მკვეთრი განსხვავების მოშლას ითხოვს. საჭიროა ისეთი მომწესრიგებელი ნორმების შემუშავება, რომლებიც ჯანსაღი და კეთილსინდისიერი ტურისტული ორგანიზაციების ფუნქციონირებას შეუწყობს ხელს. ეს, თავის მხრივ, არა მხოლოდ ტურიზმის ორგანიზებასთან, არამედ მომხმარებელთა უფლებების დაცვასთან არის დაკავშირებული. აღნიშნულ სფეროში დღეს არსებული პრაქტიკა არასახარბიელო მაგალითებით არის სავსე, რაც გამოწვეულია არასრულყოფილი სამართლებრივი ბაზითა და მოგზაურობის მომწყობთა მიმართ დანესებული მინიმალური მოთხოვნებით. პროექტი ნეგატიური პრაქტიკის აღმოფხვრას, კეთილსინდისიერი ტურისტული ორგანიზაციების ჩამოყალიბებას, ჯანსაღი კონკურენტის განვითარებასა და, რაც მთავარია, თითოეული ტურისტის უფლებების დაცვას მოემსახურება.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი 2006 წლისთვის გეგმავს „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეტანის ინიცირებას. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის ბრძანებულებით, სარეალიზაციო საქონლის ფასმარეგულაციისა და პრეისკურანტების საკითხი, სავაჭრო დანესებულებებში მომხმარებელთა მომსახურების დონის გაუმჯობესების თვალსაზრისით, გარკვეულწილად მონესრიგებული იყო, მაგრამ არა საკანონმდებლო დონეზე. კომიტეტის მიერ დაგეგმილი ინიციატივის მიზანია სავაჭრო დანესებულებებში მომსახურების სფეროს გაუმჯობესება და მომხმარებელთათვის გასაყიდი საქონლის ფასის შესახებ კანონით სავალდებულო, სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება, პროდუქციაზე არა მარტო გასაყიდი, არამედ ერთეული ფასის მითითების გზით. ამასთან დაკავშირებით ორი ახალი ტერმინი: „ერთეული ფასი“ და „გასაყიდი ფასი“ დამკვიდრდება.

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი, ასევე, გეგმავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის ინიცირებას ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებთან, ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებებთან და სამომხმარებლო კრედიტთან დაკავშირებით.

3. ინტელექტუალური სამართალი

შეთანხმების ერთ-ერთი დამოუკიდებელი სფეროა ინტელექტუალური სამართალი. უნდა აღინიშნოს, რომ ინტელექტუალური საკუთრების სამართალი ყველაზე დინამიკურად განვითარებად კანონმდებლობათა რიცხვს მიეკუთვნება, რადგან ამ სფეროში უფლებების

წარმოშობა, მათი დაცვის ფარგლები და გამოყენების სახეები ტექნოლოგიურ პროგრესთან არის მჭიდროდ დაკავშირებული. სწორედ ამან განაპირობა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე კანონპროექტის ინიცირება. სამოქმედო გეგმით, ეს სფერო 2004 წლის ბოლოსთვის უნდა ყოფილიყო ჰარმონიზებული ევროპულ სამართალთან. 1999 წელს მიღებული „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის შემუშავებაშიც ევროპული კავშირის ექსპერტებმა მიიღეს მონაწილეობა, დიდწილად შეესაბამებოდა ევროპულ სტანდარტებს, თუმცა არსებობდა შესაბამისობაში მოსაყვანი საკითხებიც, რომლებიც შეთანხმების საფუძველზე შექმნილი ეროვნული პროგრამის შესაბამის სექტორში აისახა.

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში შემოთავაზებული ცვლილებები და დამატებები პირობითად შეიძლება რამდენიმე ნაწილად დაიყოს.

პირველი ნაწილი საავტორო და მომიჯნავე უფლებების ობიექტების ინტერნეტში გამოყენებასთან არის დაკავშირებული. თანამედროვეობის გამონევეს დღეს ციფრული ტექნოლოგიები და ინტერნეტი პასუხობს, რაც უკვე აისახა სხვადასხვა საერთაშორისო შეთანხმებებში, რომლებთანაც საქართველო მიერთებულია და, შესაბამისად, მათი მოთხოვნები საქართველოს კანონმდებლობაშიც უნდა აისახოს. გარდა ამისა, აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი ცვლილებები ევროპული კავშირის არსებულ კანონმდებლობაშიც შევიდა და მრავალი ახალი დირექტივა თუ რეგლამენტი იქნა მიღებული. წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით, ავტორებისთვის, ფონოგრამისა და ვიდეოგრამის დამამზადებლებისთვის, მაუწყებლობის ორგანიზაციებისთვის დგინდება ახალი უფლება, ნება დართონ ან აკრძალონ შესაბამისი ობიექტის ისეთი გამოყენება, რომ ის საზოგადოების წარმომადგენლებისთვის მათ მიერ არჩეულ ადგილას და დროს იყოს ხელმისაწვდომი. ნაწარმოების ინტერნეტში გამოყენებისას გაჩნდა ისეთი პრობლემები, რომელთა გათვალისწინება კანონის შემუშავების სტადიაზე შეუძლებელი იყო. როგორც ცნობილია, ინტერნეტიდან ციფრული ფაილის ჩამოტვირთვისას, ჩვენგან დამოუკიდებლად, ქსელში ამ ფაილის დროებითი ასლები ჩნდება, რომელთაც არა აქვთ დამოუკიდებელი კომერციული ხასიათი, მაგრამ, ამასთანავე, ასლის შექმნა, თავისი შინაარსით, ეს უკვე რეპროდუცირებაა, რაზეც განსაკუთრებული უფლება საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელს ეკუთვნის. მიუხედავად ამისა, კომიტეტის მიერ შემოთავაზებული ცვლილებების მიხედვით, კანონის ტერმინების განმარტებას „დროებითი ასლის“ ცნება ემატება და მასზე ავტორისა და მომიჯნავე უფლების მფლობელის რეპროდუცირების უფლება არ გავრცელდება. კანონს ემატება ახალი ტერმინი – „ტექნოლოგიური საშუალებების გვერდის ავლა“, რაც გულისხმობს ნებისმიერი საშუალების გამოყენებას „ტექნოლოგიური საშუალების“ გაუვნებელყოფისთვის (ასეთი ქმედების თვალსაჩინო მაგალითია დაცული კომპიუტერული პროგრამის კოდის გატეხა). კანონის 58-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის ახალი რედაქციის თანახმად, „ტექნოლოგიური საშუალებების გვერდის ავლა“ ჩაითვლება საავტორო, მომიჯნავე და მონაცემთა ბაზის დამამზადებლების უფლებების დარღვევად და გამოიწვევს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ცვლილება „უფლების მართვის ინფორმაციასთან“ დაკავშირებით, რადგან ასეთი ტიპის ინფორმაცია, რომელიც ალბეჭდილი ან შესულია საავტორო და მომიჯნავე უფლების ობიექტში (მაგალითად: ფონოგრამა, ვიდეოგრამა და სხვა) და სხვასთან ერთად ავტორის, მწარმოებლის, ნაწარმოების გამოყენების პირობების შესახებ მონაცემებს შეიცავს, კანონიერი ეგზემპლარის იდენტიფიცირების უმთავრესი საშუალებაა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ევროპული კავშირის 2001 წლის 2001/29/EC დირექტივის შესაბამისად, მომზადდა ცვლილება „უფლების მართვის ინფორმაციის“ განმარტებაში, რომელიც დაუახლოვდა ევროპული დირექტივის განმარტებას.

ცვლილებებისა და დამატებების მეორე ნაწილი აუდიოვიზუალური ნაწარმოებების ავტორთა უფლებებს ეხება. კანონის მიხედვით, ჰონორარის მიღების უფლება აუდიოვიზუალური ნაწარმოების ყოველი საჯარო ჩვენებისა და საჯარო შესრულების დროს მხოლოდ კომპოზიტორს ჰქონდა. წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით კი, აუდიოვიზუალური ნაწარმოებების ყოველი საჯარო ჩვენებისა და საჯარო შესრულების დროს ჰონორარის მიღების უფლება, კომპოზიტორთან ერთად, სხვა ავტორებსაც ექნებათ: კერძოდ, დამდგმელ რეჟისორს, სცენარის ავტორსა და დიალოგების ავტორს. აღნიშნულ ცვლილებას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც აუდიოვიზუალური ნაწარმოებების ავტორთა სოციალური დაცვისთვის, ასევე საქართველოში კინოს წარმოების განვითარების ხელშეწყობისთვის.

ცვლილებებისა და დამატებების მესამე ნაწილი ავტორებისა და მომიჯნავე უფლებების მფლობელთა აქამდე არარსებულ უფლებებს ეხება. ბოლო ათწლეულების განმავლობაში საავტორო და მომიჯნავე უფლებების ობიექტების გაქირავებამ უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა შეიძინა და, პრაქტიკულად, ცალკე ინდუსტრიად ჩამოყალიბდა, მაგრამ, შესაბამისად, დარღვევების რაოდენობაც გაიზარდა, რადგან ნაწარმოები ქირავნობის საშუალებით გაცილებით ადვილად ხელმისაწვდომი გახდა და უკანონო ასლების დამზადებაც მნიშვნელოვნად გაიზარდა. სწორედ „გაქირავებისადმი“ ასეთმა მზარდმა დაინტერესებამ „ინტელექტუალური საკუთრების სფეროში საავტორო უფლებებთან დაკავშირებული ზოგიერთი უფლების და ქირავნობისა და თხოვების უფლებების შესახებ“ ევროპული კავშირის 1992 წლის 92/100/EC დირექტივის მიღება განაპირობა, რომლის შესაბამისადაც, გაქირავების, თხოვებისა და მფლობელობის უფლების სხვაგვარი გადაცემა გავრცელების უფლებისგან ცალსახად გამოყოფილია და ცალკე უფლების სახით არის ჩამოყალიბებული. ამდენად, წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით, კანონის მე-18 მუხლში „გაქირავება და მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემა“ ცალკე უფლებად არის გამოყოფილი და „გავრცელების უფლების“ ნაწილს აღარ წარმოადგენს. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ნაწარმოების, შესრულების ჩანაწერის, ფონოგრამისა და ვიდეოგრამის ასლების პირველი გაყიდვის ან საკუთრების სხვა ფორმით გადაცემის შემდეგ გაქირავების კონტროლის უფლება არ ამოიწურება, რაც უფლების მფლობელისთვის ასევე მნიშვნელოვანია. ამასთან ერთად, ისმო-ს „შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ შეთანხმების“ შესაბამისად, შემსრულებლის უფლებები გაფართოვდა. წარმოდგენილი ცვლილებით, შემსრულებელს ფონოგრამაზე ჩანაწერილი შესრულების ყოველგვარი დათქმის გარეშე პირდაპირი ან არაპირდაპირი რეპროდუქციების განსაკუთრებული უფლება ენიჭება. ცვლილებები აგრეთვე სახვითი ხელოვნების ნაწარმოების ავტორთა უფლებებსაც შეეხო. კერძოდ, ევროპული კავშირის 2001 წლის 2001/84/EC დირექტივა „ხელოვნების ნაწარმოების ორიგინალის შემდგომი გასხვისების უფლების შესახებ ავტორის სასარგებლოდ“ სახვითი ხელოვნებისა და ფოტოგრაფიული ნაწარმოების ორიგინალის პირველად გასხვისების შემდეგ, მისი ყოველი მომდევნო გაყიდვის შემთხვევაში, ავტორის მიერ ჰონორარის მიღების წესს ითვალისწინებს. ეს წესი კანონის მე-20 მუხლში არის ასახული. მასში დირექტივაში მოცემული პროცენტებია გადმოტანილი გასაყიდი ფასის სხვადასხვა ოდენობიდან.

ცვლილებებისა და დამატებების მეოთხე ნაწილი კანონში გამოყენებულ ტერმინოლოგიას ეხება, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებულ ტერმინებსა და მათ შინაარსს არ შეესაბამებოდა. მაგალითად, წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით, ტერმინი „გამოცემა“ „გამოქვეყნებით“ იცვლება. იცვლება მისი განმარტებაც, რომელიც საერთაშორისო სამართალში დამკვიდრებული ტერმინის – *publication*-ის ზუსტი თარგმანია, ხოლო „გამოქვეყნება“, იმ სახით, როგორც არსებობდა, კანონიდან ამოღებულია, რადგან იგი ავტორის ამ არაქონებრივ უფლებას, – რომელიც არ შეიძლება შემოიფარგლოს ნაწარმოების საზოგადოებისათვის გასაცნობად გამოცემის, საჯარო შესრულების, საჯარო ჩვენების ან სხვა გზით, – სრულყოფილად ვერ ასახავს. კანონპროექტის მიხედვით, ახალი

ტერმინი „საჯარო გაცნობა“ მკვიდრდება, რომელიც ასევე ევროპული კავშირის დირექტივებსა და საერთაშორისო შეთანხმებებში დამკვიდრებულ ტერმინს – *communication to the public*-ს შეესაბამება.

ცვლილებებისა და დამატებების მეხუთე ნაწილი „მონაცემთა ბაზებთან“ არის დაკავშირებული, რადგან ამ ობიექტმა, კომერციული მონაცემთა ბაზების სფეროს განვითარებასთან ერთად, დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა შეიძინა, განსაკუთრებით „ინტერნეტში“. მოქმედ რედაქციაში ორი ტიპის მონაცემთა ბაზა მკაფიოდ არ იყო გამოიჯნული: პირველი, „მონაცემთა ბაზა“, როგორც ნაწარმოები, რომელიც მასალის შერჩევისა და სისტემატიზაციის გამო ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგია (მაგალითად, კრებული, ენციკლოპედია და სხვა); მეორე, „მონაცემთა ბაზა“, რომელიც არ არის ნაწარმოები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დაცული უნდა იქნეს უფლებები მისი დამამზადებლისა, რომელმაც მასალების მოპოვების, შემონახვის, გადამუშავებისა და სისტემატიზაციის საქმეში მნიშვნელოვანი კაპიტალდაზღვრვა გასწავს. ძველი რედაქციის მიხედვით, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ასეთი ტიპის მონაცემთა ბაზასთან დაკავშირებული ურთიერთობები მომიჯნავე უფლებების სფეროში შედის. სინამდვილეში, ასეთი ტიპის მონაცემთა ბაზებთან დაკავშირებული ურთიერთობები ისევე უნდა რეგულირდებოდეს, როგორც ამას ევროპული კავშირის 1996 წლის 96/9/EC დირექტივა აწესრიგებს, ანუ *sui generis*-ის ნორმებით, რომლებიც მონაცემთა ბაზის ზემოაღნიშნულ ორ ტიპს განასხვავებს. შესაბამისად, კანონში გაჩნდა ტერმინი „მონაცემთა ბაზა“, რომელიც კანონის მე-6 მუხლით განსაზღვრულ მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა ჩამონათვალში არსებული მონაცემთა ბაზისაგან განსხვავდება.

ცვლილებებისა და დამატებების მეექვსე ნაწილი ნაწარმოებების „საქპატენტში“ რეგისტრაციასთან დაკავშირებულ პროცედურებს ეხება. ნაწარმოებზე საავტორო უფლებები მისი შექმნის მომენტიდან წარმოიშობა და ამ უფლებების განხორციელებისათვის არავითარი რეგისტრაცია ან სხვა ფორმალობები საჭირო არ არის. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, ავტორს ან სხვა უფლებამფლობელს შესაბამისი ორგანიზაციისათვის მიმართვისა და თავისი ნაწარმოებისა თუ სხვა ობიექტის რეგისტრაციაში გატარების უფლება აქვს. რეგისტრაციის მიზანია, დავის წარმოშობის შემთხვევაში ავტორს ნაწარმოების ობიექტური სახით არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულება ჰქონდეს. კანონის მე-9 მუხლის არსებული რედაქცია „საქპატენტში“ ასეთი რეგისტრაციის შესაძლებლობას ითვალისწინებდა. ცვლილებები კი თავად რეგისტრაციის პროცედურებს შეეხო და წარმოსადგენი მასალების ჩამონათვალი დაზუსტდა.

ცვლილებებისა და დამატებების მეშვიდე ნაწილი ავტორთა უფლებების დაცვისა და განხორციელების ინსტიტუტს – ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას ეხება, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციაა და თავად ავტორების მიერ რეგისტრირებული კავშირის, ასოციაციის სახით იქმნება. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უამრავ ავტორსა და მოსარგებლეს შორის ურთიერთობების მოწესრიგების პრაქტიკულად ერთადერთი და საერთაშორისოდ აპრობირებული, ეფექტიანი სისტემაა, რადგანაც შეუძლებელია, თითოეული ავტორის ნაწარმოების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები ინდივიდუალურად გადაწყდეს. წარმოდგენილი ცვლილებები და დამატებები ეხება იმ აუცილებელ კრიტერიუმებსა და მოთხოვნებს, რასაც ასეთი ორგანიზაცია უნდა აკმაყოფილებდეს, კერძოდ:

– მკაფიოდ განისაზღვრა, რომ უფლებების ან უფლებათა მფლობელების ერთი და იმავე კატეგორიების მიხედვით ორი ან რამდენიმე ორგანიზაციის შექმნა დაუშვებელია, რათა საქმიანობის დუბლირება არ მოხდეს, რამაც შეიძლება ავტორთა უფლებების დაცვას შეუშალოს ხელი. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არა მარტო ევროპული კავშირის ქვეყნებში დანერგილი

პრაქტიკა, არამედ ასეთსავე რეკომენდაციებს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია და იუნესკოც იძლევა;

- დეტალურად გაიწერა ორგანიზაციის რეგისტრაციის პირობები;
- ორგანიზაციის საქმიანობის გამჭვირვალობის პრინციპის დაცვის მიზნით, იგი ვალდებულია, წლიური ანგარიში გამოაქვეყნოს, რომელშიც წლიური შემოსავალი, ადგილობრივი და უცხოელი უფლების მფლობელებისათვის შეგროვებული და განანილებული ჰონორარების ოდენობა და სხვა ნებისმიერი მნიშვნელოვანი ინფორმაცია შევა;
- ორგანიზაცია აგრეთვე ვალდებულია, წესდება, ცვლილება ორგანიზაციის წესდებაში, ურთიერთნარმოდგენლობის თაობაზე უცხოეთის ანალოგიურ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, საავტორო და მომიჯნავე უფლებათა ობიექტების გამოყენებისათვის დადგენილი ტარიფები და სხვა ინფორმაცია წარუდგინოს „საქპატენტს“.

კანონპროექტით შემოთავაზებული მოდელი, ევროპის ზოგიერთი ქვეყნისაგან განსხვავებით, უფრო რბილი და ლიბერალურია. თუმცა, წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით, დარღვევების გამოაშკარავების შემთხვევაში „საქპატენტს“ კოლექტიური მართვის ორგანიზაციისთვის მისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის უფლება და წევრთა საერთო კრების მოწვევის შესახებ მიმართვის უფლება ექნება, სადაც „საქპატენტის“ მიერ დასმული საკითხები უნდა განიხილოს. 1993 წლის 27 სექტემბრის 93/83/EEC დირექტივის ერთ-ერთი მოთხოვნა კოლექტიური მართვის ორგანიზაციასა და საკაბელო ოპერატორს შორის მოლაპარაკების დროს უფლებების ბოროტად გამოყენების პრევენციაა. აღნიშნული მოთხოვნის თანახმად, სახელმწიფომ მოლაპარაკებების კეთილსინდისიერად და შეუფერხებლად წარმართვა უნდა უზრუნველყოს. ამდენად, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის ძველი რედაქციის გათვალისწინებით (რომლის თანახმადაც, „საქპატენტი“ ადგენს ჰონორარის ოდენობას მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში), მსგავსი რეჟიმი კაბელით ხელახალი გადაცემისას ჰონორარის გადახდაზეც გავრცელდა. „საქპატენტმა“ შესაძლებელია, ასევე დაადგინოს ჰონორარის ოდენობა, ერთ-ერთი ან ორივე მხარის მიმართვის საფუძველზეც.

კომიტეტმა ინტელექტუალური სამართლის სფეროში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა წამოაყენა – კანონპროექტი „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ. კანონი 1999 წელს იქნა მიღებული და იგი საავტორო უფლებების დარღვევით, საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებაზე ან გეოგრაფიულ აღნიშვნაზე უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქციის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე თავისუფალ მიმოქცევაში გაშვებისას (იმპორტირებისას) ან საქართველოდან ექსპორტირებისას სპეციალურ სასაზღვრო ღონისძიებათა გამოყენების წესსა და მასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს არეგულირებს. კანონპროექტი „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ ამ კანონში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანას ითვალისწინებს, რომელთა მიზანია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტთა უფლებამფლობელების უფრო სრულყოფილი დაცვა, ვინაიდან ადეკვატური საბაჟო ღონისძიებების გატარება ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დარღვევით წარმოებული პროდუქციის გამოვლენისა და მისი გავრცელების აღკვეთის საქმეში ძალზე ეფექტიანია.

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ კანონის მოქმედება მომიჯნავე უფლებებზეც გავრცელდა, რადგან მოქმედი კანონი საბაჟო პროცედურების განხორციელებისას მომიჯნავე უფლებების დაცვას არ ითვალისწინებდა. მნიშვნელოვანია მონაცემთა ბაზის დამამზადებლის

უფლებებიც, რომელთა მიმართაც კანონის მოქმედება ასევე გავრცელდა, იმის გათვალისწინებით, რომ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ კანონპროექტის თანახმად, „მონაცემთა ბაზა“, როგორც დაცვის დამოუკიდებელი ობიექტი, ცალკე გამოიყო.

კანონის II თავი მთლიანად შეიცვალა, რითაც საბაჟო დეპარტამენტს ე.წ. *ex officio* ქმედებების განხორციელების საშუალება მიეცემა. აღნიშნული ცვლილება TRIPS-ის მოთხოვნებთან ამ კანონის შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობით არის გამომწვეული. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ასეთი სისტემა ყველა განვითარებულ ქვეყანაში მუშაობს და ამჟამად როგორც აღმოსავლეთ ევროპის, ასევე დსთ-ის ქვეყნებშიც აქტიურად ინერგება.

წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით, საბაჟო დეპარტამენტთან ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების რეესტრი შეიქმნება, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ უფლებამფლობელს საკუთარი ობიექტის დარეგისტრირება და საბაჟოსთვის უფლებების დარღვევით წარმოებული საქონლის შეჩერების მოთხოვნა შეეძლება. თუმცა კანონპროექტის მიხედვით, ეჭვის არსებობის შემთხვევაში, არ არის გამორიცხული, უფლებამფლობელმა საბაჟო ორგანოებს მიმართოს თხოვნით საეჭვო საქონლის შეჩერების თაობაზე ობიექტის რეესტრში შეტანამდეც. მეტიც, სათანადო ინფორმაციის არსებობისას ამგვარი მოთხოვნით საბაჟო ორგანოებს ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა შეიძლება მიმართოს, იმ პირობით, რომ ეჭვის დაუდასტურებლობის შემთხვევაში მესამე პირებისთვის მიყენებულ მატერიალურ ზარალს აანაზღაურებს. კანონპროექტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო პროცედურების განხორციელებისას საბაჟო დეპარტამენტს საფუძველი ექნება ივარაუდოს, რომ საქონელი წარმოებულია ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე უფლებების დარღვევით, იგი იღებს გადაწყვეტილებას ასეთი საქონლის გადაადგილების, 10 სამუშაო დღის ვადით საბაჟო კონტროლის ქვეშ განთავსების, ან საბაჟო პროცედურების შეჩერების შესახებ. მალფუჭებადი საქონლის შემთხვევაში, საქონლის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, მისი საბაჟოზე გაჩერების ვადა 6 სამუშაო დღეს შეადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ საეჭვო საქონლის შეჩერების ვადები საერთაშორისოდ მიღებულ ვადაში თავსდება. კანონპროექტის შესაბამისად, გათვალისწინებულია შეჩერების 10-დღიანი ვადის გაგრძელება კიდევ ათი დღით, საეჭვო საქონლის ნიმუშზე ექსპერტიზის ჩასატარებლად. მას შემდეგ, რაც საეჭვო საქონელი შეჩერდება და განმცხადებელი შესამოწმებლად აიღებს საქონლის ნიმუშს, წარმოდგენილი კანონპროექტი ორ შესაძლებლობას ითვალისწინებს: გამარტივებულს – შვიდი, შესაბამისად, მალფუჭებადისათვის ოთხი სამუშაო დღის განმავლობაში უფლებამფლობელი/განმცხადებელი საბაჟო დეპარტამენტში საეჭვო საქონლის განადგურების თაობაზე საქონლის მფლობელის წერილობით თანხმობას წარადგენს და საქონელი საბაჟოზევე ნადგურდება¹, ან ჩვეულებრივს – საქონლის შეჩერების დარჩენილ ვადაში (მაგალითად, თუკი საქონლის მფლობელი არ დაეთანხმება მოსაზრებას უფლებების დარღვევით წარმოებული საქონლის შესახებ) უფლებამფლობელი/განმცხადებელი სასარჩელო განცხადებით მიმართავს სასამართლოს და საქონლის შეჩერებასთან დაკავშირებული ყველა შემდგომი ურთიერთობა საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის ფარგლებში რეგულირდება. იმ შემთხვევაში, თუკი უფლების მფლობელი აირჩევს

¹ საბაჟოზე საეჭვო საქონლის განადგურების ამ გამარტივებულ პროცედურას ითვალისწინებს 1383/2003 რეგლამენტის მე-11 მუხლის პირველი პუნქტიც, რომლის თანახმადაც საეჭვო საქონელი ეჭვის დადასტურებამდე საბაჟოზე შეიძლება განადგურდეს, თუკი არსებობს ორი პირობა: ა) საქონლის მფლობელის წერილობითი თანხმობა საქონლის განადგურებაზე (ან თუკი ის ცალსახად არ შეენიშნა აღმდგევა ასეთ გადაწყვეტილებას); ბ) საქონლის განადგურება ხდება უფლების მფლობელის ხარჯითა და პასუხისმგებლობით.

მიმართოს სასამართლოს, ის ვალდებულია, წარმოადგინოს „უზრუნველყოფის გარანტია“ საქონლის შეჩერების შედეგად მესამე პირებისათვის მიყენებული შესაძლო მატერიალური ზიანისა და საქონლის შეჩერებასთან დაკავშირებული საბაჟო დეპარტამენტის ხარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებით. ასეთი „უზრუნველყოფის გარანტიის“ ვალდებულება განმცხადებელს ვალდებულებითი განაცხადის საფუძველზე აქვს აღებული, რომელსაც ის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეგისტრაციისას, ან შემდგომში საბაჟო ორგანოებთან მიმართვისას წარადგენს. ზემოთ ხსენებული საბაჟო პროცედურები არ ვრცელდება, არც საქართველოსა და არც ევროპული კავშირის სამართლის შესაბამისად, ე.წ. „დე-მინიმის“ იმპორტზე, რომელიც მცირე კონტინენტით გაგზავნილ ან მგზავრის ბარგში მოთავსებულ არაკომერციული დანიშნულების მცირე რაოდენობით საქონელს წარმოადგენს.

კანონპროექტები „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ და „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს პარლამენტის კომიტეტებშია წარდგენილი, ხოლო „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ და „საქართველოს საპატენტო კანონში“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ კანონპროექტების ინიცირებას კომიტეტი 2006 წლისთვის გეგმავს.

4. არასრულწლოვანთა პორნოგრაფია

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა წამოაყენა ინიციატივა ისეთ სფეროში, რომელიც კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროგრამაში არ არის გათვალისწინებული, მაგრამ სერიოზულ დახვეწას მოითხოვს ევროპული კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის თვალსაზრისით.

კანონპროექტი „სისხლის სამართლის კოდექსში“ დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე პორნოგრაფიული ხასიათის დანაშაულებრივ გარიგებებს შეეხო. ამ პრობლემას ელექტრონული სისტემების შესაძლებლობათა ფართო სპექტრი ამძაფრებს – ესაა პროდუქციის სწრაფად, მასობრივად და იაფად გავრცელება. არასრულწლოვანის პორნოგრაფიული პროდუქციის დამზადება-გავრცელებაში ჩაბმას და აღნიშნულ საქმიანობაში არასრულწლოვანის გამოსახულების გამოყენებას სისხლის სამართლის კოდექსის XXXII თავის 255¹-ე მუხლი კრძალავს, მაგრამ ამ მუხლის მიხედვით, დანაშაულებრივი გარიგების ერთ-ერთი სუბიექტი არასრულწლოვანია, რადგანაც მუხლი უკანონო გარიგებებში არასრულწლოვანის ჩაბმას ეხება, თუმცა ადვილი შესაძლებელია, რომ არასრულწლოვანის პორნოგრაფია, მისი მონაწილეობის გარეშე, მომხმარებელს შექმნილი სიმულირებული პროდუქციის სახითაც მიეწოდოს. მსგავს გარიგებაში არასრულწლოვანი შეიძლება გვევლინებოდეს გარიგების არა სუბიექტად, არამედ ობიექტად. ამ ნიუანსს ეხება კომიტეტის მიერ წამოყენებული ინიციატივა და გვთავაზობს სიახლეს, რომელიც არასრულწლოვანის გამოსახულების გამოყენებით ჩადენილ პორნოგრაფიული ხასიათის დანაშაულებრივ ქმედებებს ეხება. ახალმა ნორმამ არასრულწლოვანთა პორნოგრაფიასთან დაკავშირებული დანაშაულებრივი გარიგებების ჩამონათვალი გააფართოვა და დასჯადი გახდა ასეთი პროდუქციის შეთავაზება, გადაცემა, შენახვა ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომა.

5. კოლიზიური სამართლის ჰარმონიზაცია

კოლიზიური ნორმების მაგალითები მოცემულია ევროპული კავშირის დირექტივებში, რომლებიც მიღებულია დაზღვევის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის, კონკურენციისა და კულტურული ფასეულობების დაცვის სფეროში კანონმდებლობების დაახლოების მიზნით. საერთაშორისო კერძო სამართალში ჰარმონიზაცია ძირითადად სავაჭრო, საკორპორაციო და ვალდებულებით სამართალს ეხება, ხოლო საოჯახო და მემკვიდრეობით სამართალს ნაკლებად, რადგან ეს სფეროები ეროვნული და ტრადიციული ელემენტების გავლენას გაცილებით უფრო მეტად განიცდის. ამდენად, მათთვის ერთიანი მატერიალური სამართლის შექმნა შეუძლებელია. კოლიზიურ რეგულირებას აქ უდავოდ წამყვანი როლი ენიჭება. საქართველოსა და ევროკავშირის შორის დადებული შეთანხმება „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“ კოლიზიური სამართლის დაახლოებას ევროპული კავშირის სამართალთან უშუალოდ არ ითვალისწინებს, მაგრამ თანამედროვე პირობებში, როცა საქართველოში იმ ურთიერთობების რიცხვი, რომლებიც უცხოური ელემენტი მონაწილეობს, არსებითად იზრდება, უმნიშვნელოვანესია საქართველოს კანონში „საერთაშორისო კერძო სამართლის“ შესახებ მთელი რიგი ცვლილებებისა და დამატებების შეტანა. ამჟამად მოქმედი კანონი 1998 წელს არის მიღებული. თავისთავად ამ სფეროში ერთიანი კოდიფიცირებული აქტის შექმნა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო, მით უმეტეს, რომ კანონი გერმანიის, შვეიცარიისა და იტალიის შესაბამის კანონებს დაეფუძნა, ამავდროულად მასში ევროპული კავშირის კონვენციათა მთელი რიგის ძირითადი პრინციპები აისახა. მიუხედავად ზემოთ თქმულისა, მოქმედი კანონი სერიოზულ დახვეწას საჭიროებს. კანონში შრომისა და სამომხმარებლო ხელშეკრულებების კოლიზიური საკითხები სათანადოდ მოწესრიგებული არ არის, რაც დაქირავებულთა და მომხმარებელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

მოსაწესრიგებელია კანონის სახელშეკრულებო სამართლის შესაბამისი თავი, რომელიც თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში არსებულ ტენდენციებს სრულად ვერ შეესაბამება. ასეთი საკანონმდებლო სივრცის პირობებში საქართველოსა თუ უცხოეთის მოქალაქეებისა და იურიდიული პირების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა ძნელდება, შესაბამისად, საქართველოს სამართლებრივი გარემოსა და მართლმსაჯულების მიმართ ნდობის ხარისხი იკლებს. ახალმა კანონმა იურისპრუდენციის ამ სფეროში არსებული ბევრი თანამედროვე ტენდენცია უნდა ასახოს და განვითარებული ქვეყნების, უპირველეს ყოვლისა ევროპის ქვეყნების, საკანონმდებლო, სამეცნიერო და სასამართლო პრაქტიკა უნდა გაითვალისწინოს. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, 2006 წელს კომიტეტი გეგმავს „საერთაშორისო კერძო სამართლის“ შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე კანონპროექტის ინიცირებას.

2006 წლისთვის კომიტეტი ასევე გეგმავს საკანონმდებლო ინიციატივებს ტრანსპორტის სფეროში, კერძოდ, კანონპროექტს „სავაჭრომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე და ფასიანი ქაღალდების სფეროში – „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.